ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4595463

ნომერი: AR1692067

თარიღი : 05.07.2019

გაცემის თარიღი : 18.07.2019

გაცნობის თარიღი : 20.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N14); ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N9); ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდ. ნაკვ. N32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კალანდარიშვილი პ/ნ 01010006510
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი I, კორპუსი 11, ბინა 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 05 ივლისს №AR1692067 განცხადებით მომართა ლევან კალანდარიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N14); ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N9); ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდ. ნაკვ. N32, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.14.16.015.335), სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2019 წლის 14 ივნისის №4543193 ბრძანებით სასტუმროს შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 14.06.2019 -დან 14.06.2020-ის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილია კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობის მითითება და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებას დაემატოს კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 730.3კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 5715.18 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 6445.48 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 730.3კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6445.48 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ივნისის №4524234 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.